

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს –სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. ცაგერი

15 ნოემბერი 2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: დავით კოპალიანი, მთვარისა კოპალიანი, ალექსანდრე ფუტკარაძე, თენგიზ ბურჯალიანი, მაცვალა ხუბუკელაშვილი, ნინო ურთმელიძე, ნინო გველებიანი და ირინა თავაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი – ზურაბი ხეცურიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი – მამუკა ლეთოდიანი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე – მირზა ქომეთიანი.

სხდომას საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარეობდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი – ზურაბი ხეცურიანი

დღის წესრიგი:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის თაობაზე

მომხსენებელი: ზ. ხეცურიანი

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს –სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის თაობაზე

მომხსენებელი: საბჭოს თავმჯდომარე

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი მამუკა ლეთოდიანი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს განუმარტა ის სამართლებრივი ნორმები, რის საფუძველზეც შეიქმნა მერის სათათბირო ორგანო – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. აქვე დასძინა შემდეგი: საბჭო დაკომპლექტებული იქნა მერისათვის მოქმედი კანონითა და საბჭოს დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საბჭო არის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ზურაბი ხეცურიანმა დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს საბჭოსა და საბჭოს წევრთა უფლებამოსილებები.

ჩატარებული კენჭისყრის თანახმად (მომხრე – 8, წინააღმდეგი – 0) ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: 1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

მომხსენებელი: ზურაბი ხეცურიანი

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს დებულების თანახმად, აუცილებლობას წარმოადგენს საბჭოს ჰყავდეს თავმჯდომარე, რომელსაც ასახელებს საბჭოს წევრები და ირჩევენ კენჭისყრის საფუძველზე.

საბჭოს წევრებმა – მთვარისა ახვლედიანმა, მაყვალა ხუბუკელაშვილმა და ალექსანდრე ფუტკარაძემ საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელეს დავით კოპალიანის კანდიდატურა. მიუხედავად დავით კოპალიანის მცდელობისა, რომ საბჭოს თავმჯდომარედ დასახელებულიყო სხვა კანდიდატურა, საბჭოს წევრთა მიერ კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8, წინააღმდეგი – 0), საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დავით კოპალიანი.

საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე დავით კოპალიანი.

მოისმინეს: 2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევის თაობაზე

მომხსენებელი: საბჭოს თავმჯდომარე დავით კოპალიანი
მომხსენებელმა განმარტა, რომ საბჭოს მდივნის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს წევრებს, რის შემდეგაც საბჭოს მდივნად

დასახელდა ირინა თავაძის კანდიდატურა, საბჭოს წევრების მიერ სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

კენჭისყრაზე საბჭოს წევრების მიერ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნეს ირინა თავაძე.

მოსმინეს: 3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი მამუკა ლეთოდანი
მომხსენებელმა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდანმა საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი. შესაბამისად, დეტალურად იქნა განხილული ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული სოციალური, ინფრასტრუქტურული, კულტურული, სკოლამდელი აღზრდის და საგანმანათლებლო პროგრამები.

(პროექტი თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: დავით კოპალიანმა, მთვარისა ახვლედიანმა, ალექსანდრე ფუტკარაძემ. რომლებმაც სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვან საკითხებად გამოყვეს შემდეგი:

1. უმწეოთა სასადილოსათვის გათვალისწინებული თანხა არსებული ფასების პირობებში შესაძლებელია საკმარისი არ აღმოჩნდეს.
2. საჭიროა კეთილმოწყობის მუხლში გათვალისწინებული იქნას ქ. ცაგერში 1 მოწესრიგებული საპირფარეოს აშენების თანხა.
3. არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირებში გადასახედა ხელფასების საკითხი.


თუმცა ერთიანობაში აღინიშნა, რომ არსებული მდგომარეობის პირობებში მისაღები და მოსაწონია წარმოდგენილი პროექტები. აქვე დასძინეს, რომ ისინი შემდგომში თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად ჩაერთვებიან მუნიციპალიტეტის განვითარებისა და მოსახლეობის ხელშეწყობის პროექტების შემუშავების პროცესში.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8, წინააღმდეგი – 0), საბჭოს სხდომამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.


ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

საბჭოს თავმჯდომარე :



დ. კოპალიანი

საბჭოს მდივანი :



ი. თავაძე